№	დიატომიტის შემცველობა კომპოზიციაში, მას.%	რეაქციის სიჩქარე, %/წთ				აქტივაციის ენერგია, კკალ/მოლი	ალბათობის ფაქტორი, ლ/მოლი.წმ.10 ⁻²
		130 ⁰ C	150 ⁰ C	180 ⁰ C	200 ⁰ C		
1	0	0,09	0,37	0,90	1,47	1,99	1,008
2	10	0,16	0,52	0,95	1,60	1,31	1,007
3	20	0,22	0,68	1,03	1,82	1,33	1,007
4	30	0,23	0,77	1,77	1,99	1,35	1,006
5	40	0,23	0,86	1,15	2,01	1,38	1,005
6	50	0,34	0,94	1,32	2,15	1,14	1,007
7	60	0,46	1,06	1,50	2,30	1,12	1,005
8	70	0,54	1,28	2,00	2,60	1,03	1,025
9	80	0,64	1,48	2,48	2,88	0,89	1,003

გასურების საწყის სტადიაზე გარდაქმნის სიჩქარეების განსხვავება როგორც ჩანს, აიხსნება აგრეთვე დიატომიტის კატალიზური ბუნებით. დიატომიტის ნაცვლდ კომპოზიციაში სილიკატების შეყვანისას გარდაქმნის სიჩქარე დაახლოებით 2-ჯერ მცირდება. ასევე, გარდაქმნის ხარისხი დიატომიტის შემცველობის გაზრდასთან ერთად მატულობს. მიღებულ შედეგებიდან აგრეთვე ჩანს, რომ რაც უფრო მაღალია სტრუქტურირების სიჩქარე, მით უფრო ნაკლებია აქტივაციის ენერგია. ის ფაქტი, რომ სხვადასხვა კომპოზიციებისათვის აქტივაციის ენერგია ერთი რივისაა, მიუთითებს იმაზე, რომ კომპოზიციაში დიატომიტის არსებობა არ ცვლის სტრუქტურირების პროცესის მექანიზმს, არამედ, აჩქარებს სტრუქტურირების პროცესს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომპოზიციაში მის შემცველობა 40 მას.%-ს აღემატება.

დიატომიტის ფორიანი სტრუქტურა ხელს უწყობს სტრუქტურირების პროცესში წარმოქმნილი დაბალმოლეკულური პროდუქტების – წყლის და ფორმალდეჰიდის შთანთქმას, რაც იწვევს სტრუქტურირებული პროდუქტების გამოსავლის გაზრდას.

ამრიგად, მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ კარბამიდ-ფორმალდეჰიდურ კომპოზიციაში არამოდიფიცირებული დიატომიტის გამოყენება აჩქარებს სტრუქტურირების პროცესს მაშინ, როცა სხვა მინერალური შემავსებლების გამოყენება (მაგალითად, სილიკატების) ამცირებს პროცესის სიჩქარეს. ამასთან, კომპოზიციებში მისი შემცველობა შეიძლება გაიზარდოს 80 მას.%-მდე.



ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Виртия З., Бжезинский Я.* Аминопласты. Москва: «Химия», 1973, с. 7-9.
2. *Папва Ш.Р., Дохтуришвили Н.С., Мацурაძე Н.А., Папვა Г.Ш., Табукашვილი З.Ш., Цоმაი Н.* Изучение процесса отверждения полимерных композиции аминокласта. Изв. АН Грузии, сер. хим., 1999, т. 25, № 3-4, с. 210-213.

POLYMER COMPOSITIONS ON THE BASE OF CARBAMID-FORMALDEHYDE OLIGOMERES AND DIATOMITE

Ia Chitrekashvili, Zaza Molodinashvili, Givi Papava, Marina Gurgenisvili, Ketevan Ebralidze, Nanuli Khotenashvili, Zurab Tabukashvili
Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

SUMMARY

Polymer compositions on the base of carbamide- and thiocarbamide-formaldehyde oligomer and diatomite have been prepared. The mechanism of hardening process of polymer compositions, several kinetic parameters, as well as the influence of diatomite content on the properties of the composition have been studied.

ПОЛУЧЕНИЕ КОМПОЗИЦИЙ НА ОСНОВЕ КАРБАМИД-ФОРМАЛЬДЕГИДНЫХ ОЛИГОМЕРОВ И ДИАТОМИТА

И.А.Читрекашвили, З.Ф.Молодинашвили, Г.Ш.Папва, М.Б.Гургенишвили, К.Г.Эбралидзе, Н.З.Хотенашвили, З.Ш.Табукашвили
Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили

РЕЗЮМЕ

Получены полимерные композиции на основе карбамид-формальдегидного и тиокарбамид-формальдегидного олигомеров и диатомита. Изучены некоторые кинетические параметры и механизм процесса отверждения полимерных композиции, также влияние диатомита на свойства композиции.


d-მეტალთა მონოსელენოარსენატების (V) კოორდინაციული ნაერთების სინთეზი 2,2'-დიპირიდოლითან

მადონა ჭაბუკიანი, მაია რუსია, ირმა კარტოზია, ხათუნა კასრაძე, რომან გვიგაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2,2'-დიპირიდოლი, როგორც ლიგანდი, კოორდინაციული ნაერთების სინთეზისას, დიდ ხანია ინტენსიურად შეისწავლება [1]. ასეთი შესწავლის მიზეზი არაერთგვაროვანია და მოიცავს როგორც წმინდა ქიმიურ, ასევე მედიცინაში გამოყენებით ასპექტებს.

2,2'-დიპირიდოლის ფართო შესაძლებლობა წარმოქმნას კოორდინაციული ნაერთები სრულიად განსხვავებული ტიპისა და ქცევის ელემენტ-კომპლექსიონებთან უნდა ვეძიოთ მის სტრუქტურა-აღნაგობაში.



იმის გამო, რომ მოლეკულაში აზოტის ატომებს უკავიათ ისეთი მდებარეობა, რომ იქმნება საუკეთესო პირობები 5-წევრიანი ციკლის წარმოსაქმნელად, 2,2'-დიპირიდოლი იმთავითვე მოექცა მკვლევართა ყურადღების ცენტრში, რის გამოც მისი კოორდინაციული ნაერთები მეტალთა ჰალოგენიდებთან, ნიტრატებთან, სულფატებთან და თითქმის ყველა სხვა სახის მარილებთან დეტალურად არის გამოკვლეული.

ნატრიუმის მონოსელენოარსენატის(V) წყალხსნარების მოქმედებას ზოგიერთ d-მეტალთა ხსნადი მარილებისა და ბიდენტატური ლიგანდის – 2,2'-დიპირიდოლის ურთიერთქმედების პროდუქტთან, მიყვარათ შესაბამისი კოორდინაციული ნაერთის წარმოქმნამდე [2].

გამოვიყენეთ რა აღნიშნული მეთოდი, ამავერად განვაზოცვიეთ დ-მეტალთა მონოსელენოარსენატების კოორდინაციული ნაერთების სინთეზი 2,2'-დიპირიდოლითან.


გამოსავალ ნივთიერებებად გამოვიყენეთ d-მეტალთა წყალში ხსნადი მარილები: $MnCl_2 \cdot 4H_2O$, $Fe_2(SO_4)_3 \cdot 7H_2O$, $CoCl_2 \cdot 6H_2O$, $NiCl_2 \cdot 6H_2O$, $Cd(CH_3COO)_2 \cdot 2H_2O$ და $Hg(NO_3)_2 \cdot H_2O$, ლიგანდად გამოვიყენეთ 2,2'-დიპირიდოლი, ხოლო დამლუქავად – ნატრიუმის მონოსელენოარსენატი $Na_3AsO_3Se \cdot 12H_2O$.

d-მეტალთა მონოსელენოარსენატების კოორდინაციულ ნაერთებს 2,2'-დიპირიდოლითან, ისევე როგორც პირდინთან [3,4]; ვლბულობთ ორი ხერხით: სახელობრ, მიმოცვლის რეაქციით სინთეზირებულ იქნა მანგანუმის (II), სპილენძის (II), თუთიის, კადმიუმისა და ვერცხლისწყლის (II) კომპლექსური ნაერთები 2,2'-დიპირიდოლითან, ხოლო ახლად სინთეზირებული რკინის(II), კობალტ(II)-ისა და ნიკელის (II) მონოსელენოარსენატების ურთიერთქმედებით 2,2'-დიპირიდოლის სპირტსხნართან – შესაბამისი კოორდინაციული ნაერთები.

რადგან გამოსავალ d-მეტალთა მონოსელენოარსენატები წყალში პრაქტიკულად უხსნად ნივთიერებებს წარმოადგენენ, უწინარეს ყოვლისა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მიზნობრივ პროდუქტების მიღება ნატრიუმის მონოსელენოარსენატისა და შესაბამისი მეტალის კომპლექსნაერთის ურთიერთქმედებით. აღმოჩნდა, რომ d-მეტალთა მარილებისა და 2,2'-დიპირიდოლის ურთიერთქმედების პროდუქტებზე ნატრიუმის მონოსელენოარსენატის მოქმედებით, სპირტსხნარებში იღლქება შესაბამის მეტალთა მონოსელენოარსენატებს



კომპლექსები, რომელთა წარმოქმნა აიხსნება შემდეგ თანმიმდევრული რეაქციათა კროლით:



სადაც, M= Mn, Cu, Zn, Cd, Hg; X=Cl ან CH₃COO, n=2 ან 3.


იმის გამო, რომ მიმოცვლის რეაქციით რკინის (II), კობალტისა (II) და ნიკელის (II) მონოსელენოარსენატების კოორდინაციული ნაერთების მიღება 2,2'-დიპირიდითან ჩვენ ვერ შევხებით, მათი სინთეზი მოვახდინეთ ამავე მეტალთა მონოსელენოარსენატებისა და 2,2'-დიპირიდის უშუალო ურთიერთქმედებით სპირტსნარებში:



სადაც, M=Fe, Co ან Ni.

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ კომპლექსთა შედგენილობა დამოკიდებულია კომპლექსწარმოქმნელის ბუნებასა და სინთეზის პირობებზე. ასე მაგალითად, Cu, Zn, Cd, Hg და Mn დიპირიდული კომპლექსებისა და ნატრიუმის მონოსელენოარსენატების ურთიერთქმედების პროდუქტები ილექებიან საკრისტალოზაციო წყლის გარეშე, მაშინ როდესაც რკინის(II), კობალტის(II)-ისა და ნიკელის (II)-ის კომპლექსები, რომლებიც მივიღეთ შესაბამის მეტალთა მონოსელენოარსენატებისა და 2,2'-დიპირიდის ურთიერთქმედებით, წარმოიქმნებიან კრისტალოპიდრატების სახით.


სინთეზირებული ნაერთები წარმოადგენენ სხვადასხვა შეფერილობის წერილკრისტალურ ნივთიერებებს. Fe(II), Co(II)-ისა და Ni(II)-ის კომპლექსები კარგად იხსნებიან წყალში, მაგრამ არ იხსნიან სპირტში, აცეტონში, ტეტრაჰიდროფურანსა და სხვა ჩვეულებრივ ორგანულ გამხსნელებში. სხვა ნაერთები კი წყალში უხსნად ნივთიერებებს წარმოადგენენ. საინტერესოა სინთეზირებულ კომპლექსთა რეაქციები მჟავებთან (HCl, H₂SO₄) და ტუტებთან (NaOH, KOH). ასე მაგალითად, მათი 2N მარილ- ან გოგირდმჟავით დამუშავებისას ილექება ტეტრადარიშხანის დეკასელენიდი, რომელიც მცირედ დაბინძურებულია დარიშხანის (III) სელენიდით და სელენით. ს₄შე₁₀-ის წარმოქმნა როგორც ჩანს, უნდა აიხსნას მონოსელენოდარიშხანმჟავას დისპროპორცირებით:



ანუ შევამბულად:



დარიშხანის (III) სელენიდისა და სელენის გაჩენა მინარევის სახით უნდა აიხსნას As₄Se₁₀-ის ნაწილობრივი დაშლით მჟავე გარემოში:




მოცემული ნაერთები არ იხსნიან ტუტეებში. გამოაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თუთიის მონოსელენოარსენატის კომპლექსი, რომელიც გაცხელებისას ადვილად იხსნება კონცენტრირებულ NaOH და KOH-ში.

მიღებული ნაერთის შედგენილობისა და აღნაგობის დასადგენად შევისწავლეთ სინთეზირებული კომპლექსების იწ-სპექტრები, რენტგენოგრაფიული და თერმოგრაფიული მონაცემები. მიღებულ ნაერთთა ქიმიური ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში 1.


ცხრილი 1. სინთეზირებული ზოვიერთი d-მეტალთა მონოელენოარსენატების (V) დიპირიდული კომპლექსების ქიმიური ანალიზის შედეგები

№	ფერი / ფორმულა	გამოთვლილია / ნაპოვნია, %				
		M	As	Se	N	H ₂ O
1	ყავის ფერი [Mn(diPy) ₃] ₃ AsO ₃ Se ₂	8.36	7.60	8.00	12.77	--
		8.00	6.99	7.77	11.80	
2	იასამნის ფერი [Fe(diPy) ₃] ₃ (AsO ₃ Se) ₂ ·3H ₂ O	8.50	7.59	7.99	12.75	2.73
		8.05	7.00	7.00	11.67	2.00
3	ნარინჯის ფერი [Co(diPy) ₃] ₃ (AsO ₃ Se) ₂ ·H ₂ O	8.91	7.56	7.99	12.70	2.72
		8.16	6.97	7.01	11.60	2.11
4	ნარინჯის ფერი [Ni(diPy) ₃] ₃ (AsO ₃ Se) ₂ ·3H ₂ O	8.91	7.56	7.96	12.70	2.72
		8.20	6.91	7.03	11.51	2.10
5	ყავის ფერი [Cu(diPy) ₂] ₃ (AsO ₃ Se) ₂	12.53	9.79	10.31	10.97	--
		12.01	8.87	9.91	9.98	
6	ნაცრის ფერი [Zn(diPy) ₂] ₃ (AsO ₃ Se) ₂	12.70	9.77	10.29	10.95	--
		12.14	9.00	9.78	10.00	
7	ყავის ფერი [Cd(diPy) ₂] ₃ (AsO ₃ Se) ₂	20.19	8.93	9.41	10.00	--
		19.79	8.02	8.88	9.22	
8	შავი [Hg(diPy) ₂] ₃ (AsO ₃ Se) ₂	31.04	7.72	8.13	8.65	--
		30.74	6.92	7.90	7.98	

სპექტრალური მონაცემების შედარებამ თავისუფალი 2,2'-დიპირიდლისა და აგრეთვე სხვა მეტალთა დიპირიდული კომპლექსების სპექტრებთან (ნახაზი 1) დაგვარწმუნა იმაში, რომ მეტალის დიპირიდული კომპლექსის იმ-სპექტრი მოიცავს ნაერთისათვის დამახასიათებელ ყველა ძირითად შთანთქმის ზოლს. ორგანული ლიგანდი ცენტრალურ ატომთან დაკავშირებულია ბიდენტატურ-ციკლურად:




კომპლექსში დიპირიდლის არსებობას ადასტურებს [5] დამახასიათებელი შთანთქმის ზოლები. კერძოდ, არომატული C=C ბმისათვის ვალენტური რხევები ვლინდება 1595 სმ⁻¹ უბანში საშუალო ინტენსივობის შთანთქმის ზოლის სახით და 1480 სმ⁻¹-ზე ინტენსიური პიკის სახით. დიპირიდლისათვის დამახასიათებელი C=N ბმის შთანთქმის ზოლი მცირე ინტენსიურობის პიკის სახით ვლინდება 1280 სმ⁻¹ უბანში. დიპირიდლის C-H ბმების შთანთქმის ზოლები ვლინდება 770 სმ⁻¹ უბანში ინტენსიური შთანთქმის ზოლის სახით [6]. AsO₃Se³⁻ შთანთქმის ზოლები წარმოჩინდებიან 850 სმ⁻¹ და 620 სმ⁻¹-ზე, რომლებიც წარმოადგენენ სიმეტრიულ და არასიმეტრიულ ვალენტურ რხევებს შესაბამისად.



ნახაზი 1. d-მეტალთა მონოსელენოარსენატების (V) დიპირიდული კომპლექსების ი.წ. სპექტრები. (ა) – $[\text{Fe}(\text{diPy})_3]_3(\text{AsO}_3\text{Se})_2 \cdot 3\text{H}_2\text{O}$, (ბ) – $[\text{Hg}(\text{diPy})_2]_3(\text{AsO}_3\text{Se})_2$, (გ) – $[\text{Cd}(\text{diPy})_2]_3(\text{AsO}_3\text{Se})_2$, (დ) – $[\text{Zn}(\text{diPy})_2]_3(\text{AsO}_3\text{Se})_2$

სინთეზირებულ ნაერთთა ინდივიდუალურობას ადასტურებს რენტგენოფაზური ანალიზის შედეგებიც (ცხრილი 2). მეთალთა დიპირიდლის კომპლექსნაერთთა რენტგენოგრაფიკული მონაცემები პროდუქტთა მაღალ დისპერსიულობაზე. გათვლები გვიჩვენებს, რომ ისინი კრისტალდებიან რომბულ სინგონიაში. დიპირიდულ კომპლექსნაერთთა თერმოგრამების შესწავლამ დაგვარწმინა იმაში, რომ მიღებული კომპლექსების თერმული ქცევა ერთნაირია, მაგალითისათვის მოვიყვანოთ კობალტის მონოსელენოარსენატის(V) დიპირიდლატის $[\text{Co}((\text{C}_5\text{H}_5\text{N})_2)_3]_3(\text{AsO}_3\text{Se})_2 \cdot 3\text{H}_2\text{O}$ ქცევა გაზურების დროს. თერმოლიზის სურათი (ნახაზი 2) გვიჩვენებს, რომ დიპირიდლატები განსხვავებულად იქცევიან სხვა კომპლექსნაერთებთან შედარებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ დიპირიდლი გაცილებით ძლიერად არის კოორდინირებული ცენტრალურ ატომთან, ვიდრე ჩვენს მიერ შესწავლილი სხვა ლიგანდები და ამდენად, ორგანიკის სრული მოცილება საკმაოდ მაღალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს. 60-320°C-ის ინტერვალში DTA მრუდზე შეინიშნება ენდოთერმული ეფექტი, მასის კლება ამ დროს შეადგენს 25,54%-ს, რაც შეესაბამება საკრისტალიზაციო 3 მოლი წყლის და 3 მოლი ლიგანდის დაკარგვას (თეორიული – 25,60%). შემდგომი ეტაპი არის 320-600°C-მდე. მასის კლება ამ შუალედში 18, 00 %-ია, რაც მიუთითებს As_2O_3 და 2SeO -ის დაკარგვას.




ნახაზი 1. d-მეტალთა მონოსელენარსენატების (V) დიპირიდული კომპლექსების თერმოგრამები. (ა) – $[Fe(diPy)_3]_3(AsO_3Se)_2 \cdot 3H_2O$, (ბ) – $[Hg(diPy)_2]_3(AsO_3Se)_2$, (გ) – $[Cd(diPy)_2]_3(AsO_3Se)_2$, (დ) – $[Zn(diPy)_2]_3(AsO_3Se)_2$



ცხრილი 2. d-მეტალთა მონოსელენოარსენატების (V) დიბირიდილური კომპლექსების რენტგენოფაზური ანალიზის შედეგები

[Cu((C ₅ H ₄ N) ₂) ₂] ₃ (AsO ₃ Se) ₂		[Mn((C ₅ H ₄ N) ₂) ₂] ₃ (AsO ₃ Se) ₂		[Co((C ₆ H ₄ N) ₂) ₃](AsO ₃ Se) ₂ ·3H ₂ O	
I/I ₀	dα/n	I/I ₀	dα/n	I/I ₀	dα/n
28	11.41	22	10.04	80	7.86
10	6.9	55	3.708	100	7.53
10	4.928	10	3.159	30	6.81
10	3.825	100	2.966	30	6.56
20	3.734	40	2.787	30	5.11
70	3.148	5	2.618	30	3.52
100	2.978	20	2.157	50	3.30
30	2.88	35	2.053	50	3.20
25	2.809	50	1.978	30	3.13
25	2.75	8	1.914	30	3.00
15	2.512	25	1.744	30	2.79
15	2.479	15	1.635	55	2.64
18	2.058	18	1.622	30	2.50
10	1.99	40	2.21	40	2.40
30	1.942	60	2.10	50	2.22
20	1.758	80	2.06	50	2.13
10	1.713	100	2.02	45	2.03
5	1.677	70	1.92	10	1.93
10	1.656	70	1.86	30	1.92
10	1.642	30	1.83	50	1.89
5	1.609	30	1.73	10	1.72

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კობალტის (II) მონოსელენოარსენატის დიბირიდილატის თერმოლიზის სავარაუდო სქემა შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ანალოგიურად მიმდინარეობს სხვა d-მეტალთა მონოსელენოარსენატების (V) დიბირიდილატების დაშლაც, გამონაკლისს წარმოადგენს Hg(II)-ის კომპლექსი, ისევე როგორც სხვა ლიგანდებთან, მისი ქცევა აქაც განსხვავებულია. თერმოლიზი იწყება შედარებით დაბალ ტემპერატურაზე და სულ ორ თერმულ პიკზე მთავრდება სრული დაშლა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ვერცხლისწყლის (II) ნაერთები მაღალ ტემპერატურაზე არა-მდგრადები არიან.

ამრიგად, მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 2,2'-დიბირიდილის მოლეკულები კოორდინირებულნი არიან d-მეტალთა ატომებთან აზოტის ატომების მეშვეობით, ხოლო AsO₃Se³⁻-ის ჯგუფი იმყოფება კომპლექსის გარე სფეროში.

ექსპერიმენტული ნაწილი

ტრი-2,2'-დიპირიდილსპილენძის (II) მონოსელენოარსენატი. 2,6 გ (0,0102 მოლი) $CuSO_4 \cdot 5H_2O$ -ის ნაჯერ ხსნარს ინტენსიური მორევისა და გაცხელების პირობებში დავამატეთ 4,8 გ (0,0307 მოლი) 2,2'-დიპირიდილის სპირტ-ხსნარი. ნარინჯისფერი ხსნარი ვაღულე უკუშეცივრთან კოლბაში და შემდეგ დავამატეთ 3,0 გ (0,0082 მოლი) ნატრიუმის მონოსელენოარსენატის ნაჯერი ხსნარი. მაშინვე დაიღვრა შავი ფერის წვრილკრისტალური ნივთიერება, რომელიც 12 საათის შემდეგ გავფილტრეთ. კარგად ჩავერეცხეთ წყლით, შემდეგ სპირტით და გავაშრეთ P_2O_5 -იან ვაკუუმ-ექსიკატორში მუდმივი მასის მიღებამდე.

მივიღეთ 5,0 გ (0.0033 მოლი) $[Cu((C_5H_4N)_2)_2(AsO_3Se)_2]$, რაც შეადგენს თეორიულს 96,5%-ს. ნაპოვნია, %: Cu 4.10; As 3.21; Se 3.37; N 3.58; გამოთვლილია, %: Cu 4.25; As 3.21; Se 3.37; N 3.58.

ასეთივე გზით იქნა მიღებული მანგანუმის (II), თუთიის, კადმიუმისა და ვერცხლისწყლის (II) დიპირიდილატური კომპლექსებიც (ცხრილი 3).

ტრი-2,2'-დიპირიდილრკინის (II) მონოსელენოარსენატი. 2,8 გ (0,1080 მოლი) $FeSO_4 \cdot 7H_2O$ -სა და დავამატეთ 3 გ (0,0062 მოლი) $Na_3AsO_3Se \cdot 12H_2O$ -ის ურთიერთქმედებით წყალხსნარში მივიღეთ რკინის (II) მონოსელენოარსენატის მაღალდისპერსიული ნალექი, რომელსაც წყლით კარგად გარეცხვის შემდეგ დავამატეთ 2,8 გ (0,0307 მოლი) 2,2'-დიპირიდილის წყალ-ხსნარი. სუსპენზიას ჰერმეტიულად გაცხელებდით 5 საათის განმავლობაში. მყარი ფაზა ნელ-ნელა გადავიდა ხსნარში, რომელმაც მიიღო მუქი შეფერილობა. სარეაქციო ნარევი ვადულეთ 1 საათის განმავლობაში და დავეტოვეთ ერთი დღედაღამე კრისტალიზაციისათვის. მეორე დღეს გამოკრისტალებული ნივთიერება მოვაცილეთ დეკანტაციით და მოვახდინეთ მისი გადალექვა წყლიდან ეთილის სპირტით. მივიღეთ 5,9 გ (0.0030 მოლი) $[Fe((C_5H_4N)_2)_2(AsO_3Se)_2 \cdot 3H_2O]$, რაც თეორიულს 97,3%-ს შეადგენს. მასში %-ული შედგენილობაა: Fe 2.40; As 2.15 Se 2.26; N 3.61; H_2O 0.77. თეორიული პროცენტული შემცველობაა: Fe 2.47; As 2.21; Se 2.32; N 3.71; H_2O 0.79.

ასეთივე გზით იქნა მიღებული კობალტის (II) და ნიკელის (II) მონოსელენოარსენატების კოორდინაციული ნაერთებიც 2,2'-დიპირიდითან.

გამოსავალ ნივთიერებათა ჩატვირთვა და მიღებული პროდუქტების გამოსავლიანობა მოტანილია ცხრილში 3.

ცხრილი 3. 2,2'-დიპირიდითან d-მეტალთა კოორდინაციული ნაერთების მისაღებად გამოსავალ ნივთიერებათა ჩატვირთვა და მიზნობრივი პროდუქტების გამოსავლიანობა

საწყისი	სარეაქციოდ აღებულია					მიღებულია					
	მარილი		ლიგანდი diPy		$Na_3(AsO_3Se)_2 \cdot 12H_2O$	M	As	Se	N	H_2O	
ფორმულა	გ	მოლი	გ	მოლი	გ	მოლი	x	n	გ	მოლი	%
$MnCl_2 \cdot 4H_2O$	2.0	0.0112	5	0.0320	3.9	0.0080	3	-	5.7	0.0029	92.5
$FeSO_4 \cdot 7H_2O$	2.9	0.0110	5	0.0320	3.0	0.0062	3	3	5.9	0.0030	97.3
$CoCl_2 \cdot 6H_2O$	2.5	0.0105	5	0.0320	4.0	0.0082	3	3	5.8	0.0029	96.0
$NiCl_2 \cdot 6H_2O$	2.5	0.0105	5	0.0320	3.9	0.0080	3	3	5.8	0.0028	95.0
$CuSO_4 \cdot 5H_2O$	2.6	0.0111	3.5	0.0224	3.0	0.0062	2	-	4.6	0.0030	96.5
$Zn(CH_3COO)_2 \cdot 2H_2O$	2.4	0.0131	3.5	0.0224	3.8	0.0078	2	--	4.6	0.0030	96.5
$Cd(CH_3COO)_2 \cdot 2H_2O$	2.0	0.0084	2.5	0.0160	4.2	0.0086	2	-	4.9	0.0029	93.0
$Hg(NO_3)_2 \cdot H_2O$	2.0	0.0058	2.0	0.0128	3.9	0.0080	2	-	5.6	0.0029	92.5

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Гринберг А.А.* Введение в химию комплексных соединений. Москва-Ленинград: Химия, 1986, с. 123-196.
2. *Дუბერძე И.С., Хелашვილი Т.К., Русия М.Ш., Индия М.А., Гигаური Р.Д.* Georgian Engineering News, 1997, v. 4, p. 97-101.
3. *Khelashvili G. K., Gigauri R.I., Indjia M.G., Gurgenshvili L.V., Gigauri R.D.* Coordination Compounds of d-Metals Monothioarsenates With Pyridine. Bull. Georgian Acad. Sci., 1996, 157, No 3, p. 415-418.
4. *ხელაშვილი ვ.ა.* d-მეტალთა მონოთიოარსენატები და მათი კოორდინაციული ნაერთები აზოტუმცველ ლიგანდებთან. სინთეზი და გამოკვლევა. დისერტაცია, ქიმიის მეცნ. კანდ., თბილისი, 1998.
5. *ლიდარძე ა.ს.* ტეტრათიოდარიშხანმჟავას d-მეტალთა მარილები და მათი კოორდინაციული ნაერთები მონო- და ბიდენტანტურ აზოტუმცველ ლიგანდებთან. დისერტაცია, ქიმიის მეცნ. კანდ., თბილისი, 1998.
6. *Webb D. I.* Synthesis, Structure and Magnetic Properties of the Rare-Earth Zink Compounds $\text{Eu}_{14}\text{MnPn}_{11}$ and $\text{E}_{14}\text{InPn}_{11}$ (Pn=Sb,Bi). Chemistry of Materials, 1997, v. 9(10), p. 2131-2138.
7. *Nakamoto K.* The IR Spectrum of Inorganic and Coordinated Substances. Mir, 1966, p. 411.

SYNTHESIS OF COORDINATION COMPOUNDS OF d-METAL MONOSELENOARSENATE(V) WITH DIPYRIDILE

Madona Chabukiani, Maya Rusia, Irma Kartoza, Khathuna Kasradze, Roman Gigauri
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Synthesis of coordination compounds has been performed in solution by exchange reaction between salts of corresponding metals and 2,2'-dipyridile, without extraction by saturated solutions of equivalent amount of sodium monoselenoarsenate. Chemical composition of compounds was confirmed on the basis of the using the element analysis, as well as by physical and chemical methods. Possible schemes of thermal decomposition of prepared compounds is presented.

СИНТЕЗ КООРДИНАЦИОННЫХ СОЕДИНЕНИЙ МОНОАРСЕНАТОВ(V) d-МЕТАЛЛОВ ИЗ 2,2'-ДИПИРИДИЛА

М.Чабукиани, М.Русия, И.Картозия, Х.Касрадзе, Р.Гигаური
Тбилисский государственный университет им. И.Джავახишвили

РЕЗЮМЕ

Синтез координационных соединений производили реакцией обмена солей данных металлов на 2,2'-дипиридинаты в индивидуальном положении без выделения действием насыщенных растворов эквивалентных количеств моноселеноарсенатов натрия. Состав синтезированных соединений кроме элементного анализа был установлен и физико-химическими методами исследования. В представленной работе приведены предполагаемые схемы их термолитиза.

ღვინომასასაღებში ამინომჟავათა შანგვითი დეზამინირების და ცილა-ალდეჰიდის ურთიერთქმედების პროცესის შესწავლა

მურმან ჯაფარიძე, თინა სხირტლაძე, თამაზ ჭუჭულაშვილი, ბენედიქტე წერეთელი

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტი

ტკბილსა და ღვინოში აზოტშემცველ ნაერთებიდან ყველაზე დიდსა და რეაქციისუნარიან ვაგუფს ამინომჟავები წარმოადგენენ, რომელთა წილად მოდის საერთო აზოტის 50% და მეტი. აღნიშნული ნაერთები ღვინომასალის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განიცდიან განუწყვეტელ გარდაქმნებს, რომელთა პროდუქტები ურთიერთმოქმედებენ რა ერთმანეთთან და ღვინომასალის სხვადასხვა კომპონენტებთან, მონაწილეობენ პროდუქტის ორგანოლუბტიკური მახასიათებლების ჩამოყალიბებაში.

ამინომჟავების ცვალებადობა ინტენსიურდება ღვინომასალის მადერიზაციის პროცესში, რომელიც მიმდინარეობს ჰაერის ან ჟანგბადის თანაობისას $30\pm 70^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე [1] დამუშავების ასეთ რეჟიმში ძირითადად ჟანგვით პროცესებს აქვს ადგილი, რომელთაგან შევისწავლეთ ამინომჟავათა ჟანგვითი დეზამინირება გლიცინის მაგალითზე და შევეცადეთ დაგვედგინა ამ პროცესის რაოდენობრივი მაჩვენებლები, ჟანგვითი გარდაქმნის სიღრმისეული მიმდინარეობა და მიღებული პროდუქტების რაობა.

კვლევათა ჩასატარებლად გამოყენებული იქნა ქარხნული წარმოების რადიოაქტიური ნახშირბადით ნიშანდებული ^{14}C -გლიცინი, კუთრი რადიოაქტიურობით 2 094 667 ბეკერელი/გ და ქარხნული წარმოების რადიოაქტიური ნახშირბადით ნიშანდებული ^{14}C -გლიცინი, კუთრი რადიოაქტიურობით 1 948 000 ბეკერელი/გ.

რადიოაქტიური ამინომჟავების გარდაქმნა შევისწავლეთ ღვინომასალის როგორც აირად, ისე თხევად ფაზაში, რისთვისაც 250 სმ³ მოცულობის ორ კოლაში მოვათავსეთ 200-200 სმ³ რაოდენობის ღვინომასალა, რომელთაგან ერთს დავუმატეთ 0,04 გ (0,2 სმ³) ^{14}C -გლიცინი, ხოლო მეორეს-0,04 გ (0,2 სმ³) ^{14}C -გლიცინი. რადიოაქტიური ამინომჟავები ტოლი რაოდენობის ღვინომასალებში შევიტანეთ ტოლი მასური სიდიდით და არა ტოლი აქტივობებით, რათა რეაქციის მსვლელობაზე შეტანილი პრეპარატის რაოდენობას არ ჰქონდა გავლენა.

მადერიზაციის პროცესს ვანზორცივლებდით თერმოსტატში ორი თვის განმავლობაში 60°C ტემპერატურის პირობებში. საკვლევი ნიმუშების მთელ სიღრმეში ჟანგვითი პროცესების უზრუნველსაყოფად ყოველ მეორე დღეს ვაწარმოვდით საანალიზო ნიმუშების შენჯღრევას, ხოლო ყოველ მეთვთამე დღეს ნიმუშებში 1 წუთის განმავლობაში ჟანგბადის ბარბოტირებას.

ღვინის აირად ფრაქციაში რადიოაქტიური ნახშირბადატომის დასაფიქსირებლად ^{14}C -გლიცინის შემცველ ნიმუშს დამჭურად დაყენებული ჰქონდა დრექსელი 10 სმ³ 20%-იანი KOH-ის წყალხსნარით. იგივე მიზნით ^{14}C -გლიცინის შემცველ ნიმუშს გააჩნდა სამი დრექსელი, რომელთაგან პირველ-ორში ესხა 5-5 სმ³ Ba(OH)₂-ის ნაჯერი წყალხსნარი, ხოლო მესამეში - 10 სმ³ 0,005 n-ის HCl-ის წყალხსნარი [2].

ღვინომასალის თხევადი ფრაქციის გასანალიზებლად, წარმოქმნილ ლექს ფილტრაციით ვაშორებდით ნიმუშს და ნალექის წონას ვადგენდით უკანასკნელის მუდმივ წონაკამდე გამოშრობით, რის შემდეგ ლექს ვწვავდით და გამოყოფილ $^{14}\text{CO}_2$ -ს ვბოჭავდით 20%-იანი KOH-ის 10სმ³ წყალხსნარით.

ღვინომასალის თხევად ფაზაში მოსალოდნელი რადიოაქტიური ფორმალდეჰიდის აღმოსაჩენად ვაწარმოვდით მის შებოჭვას 100 სმ³ 0,56%-იანი დიმედონის 20%(მოც) სპირტწყალხსნარით, რისთვისაც დიმედონდამატებულ ფილტრატს 24 საათის განმავლობაში

ყოფნებდით 35-40°C ტემპერატურის პირობებში და მიღებული კონდენსაციის პროდუქტებს თხევად ფაზას ვაშორებდით ფილტრაციით. ნალექს ფილტრზე ვაშრობდით მუდმივ წონამდე და ვხსნიდით 20%-იანი KOH-ის წყალხსნარის მაქსიმალურად მცირე რაოდენობაში, საიდანაც წარმოებდა მისი რადიოაქტიურობის ათვლა.

თხევად ფაზაში რადიოაქტიური ფორმიატის აღმოსაჩენად ვაწარმოებდით მიღებული ფილტრატის დაახლოებით 2/3-ის გამოხდას და ნახადის შეტუტიანებას 10%-იანი KOH-ის წყალხსნარით pH 9-10 ერთეულამდე, რის შემდეგ ვაორთქლებდით წყლის აბაზანაზე 4-5 სმ³-დე, საიდანაც პირდაპირ ვაწარმოებდით რადიოაქტიურობის ათვლას.

რადიოაქტიურობის ათვლას ვგვლა შემთხვევაში ვაწარმოებდით თხევად სცინტილაციურ ბოულზე I215 RACK BETA 11 ბრეის პიდროფილურ სისტემაში [3].

კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილებში 1 და 2.

ცხრილი 1. ღვინომასალის აქროლად ფრაქციაში რადიოაქტიურობის განაწილება მადერიზაციის პროცესში

ნიშანდებული ამინომჟავა	%, რადიოაქტიური ნახშირბადის განაწილების მიხედვით		
	¹⁴ CO ₂	H ¹⁴ COOH	H ¹⁴ CHO
H ₂ N-CH ₂ ¹⁴ COOH	3,15	---	---
H ₂ N- ¹⁴ CH ₂ COOH	0,33	0,04	0,04

ცხრილი 2. ღვინომასალის თხევად ფრაქციაში რადიოაქტიურობის განაწილება მადერიზაციის პროცესში

ნიშანდებული ამინომჟავა	%, რადიოაქტიური ნახშირბადის განაწილების მიხედვით		
	ლექი	H ¹⁴ COOH	H ¹⁴ CHO
H ₂ N-CH ₂ ¹⁴ COOH	<0,01	---	---
H ₂ N- ¹⁴ CH ₂ COOH	2,79	0,31	0,02

ცხრილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მადერიზაციის აღნიშნულ პირობებში ადგილი აქვს ამინომჟავების ფანგვით დეზამინირებას, რომელსაც უშუალოდ აფიქსირებს ¹⁴C-გლიცინის შემცველი ნიმუშის აირად ფაზაში ¹⁴CO₂ არსებობა და ჩვენს პირობებში ამინომჟავა გლიცინის ფანგვითი დეზამინირების სიდიდე 3,15%-ის ტოლია.

დეზამინირების პროცესის პროდუქტებიდან ღვინომასალის აირად ფრაქციაში აღმოჩნდა როგორც ფორმალდეჰიდი, ისე ფორმიტიც და თითოეულის რაოდენობამ საწყისი რადიოაქტიურობის დაახლოებით 0,04% შეადგინა.

განზოგადების თვალსაზრისით შეიძლება დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ღვინომასალის სითბოთი დამუშავების პროცესში ტიტრული მჟავიანობის მატება განპირობებულია არა მარტო ღვინის კონცენტრირებით, ალკოჰოლის დაჟანგვის შედეგად მჟავების წარმოქმნით და მაღალი ტემპერატურის პირობებში ღვინის ქვის ხსნადობის გაზრდით, არამედ ამინომჟავების ფანგვითი დეზამინირების შედეგად წარმოქმნილი ალდეჰიდების შესაბამის მჟავებამდე დაჟანგვითაც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენს მიერ პირველად იქნა ნაჩვენები გლიცინის α-ნახშირბადატომის დაჟანგვა CO₂-მდე ღვინის მადერიზაციის პირობებში და იგი დაახლოებით 0,33%-ის ტოლია.

როგორც ცნობილია [4], ღვინომასალაში გახსნილი თავისუფალი ფანგბადი სუსტი დამაჩნველია. ამიტომ, აღნიშნული ღრმა დაჟანგვა, რაც ღვინის დაშლის პროცესისათვის დამასაიათებელი მოვლენაა, გამოწვეული უნდა იყოს რიგი ფანგვა-აღდგენითი სისტემების,



მაგალითად, ფენოლ-ქინონური სისტემების გააქტიურებით, რომელთა არსებობა მადერის ტიპის ღვინომასალაში ეჭვგარეშეა.

^{14}C -გლიცინის შემცველი ღვინომასალის თხევად ფაზაში, როგორც მოსალოდნელი იყო, რადიოაქტიური არ აღმოჩნდა ღვინომასალის გაანალიზებული არცერთი კომპონენტი.

განსხვავებული სურათია ^{214}C -გლიცინის შემცველი ნიმუშის შემთხვევაში. აქ შეტანილი რადიოაქტიურობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი, 2,79%, ლექში არის ლოკალიზებული უფრო ნაკლები, 0,34%, აღმოჩნდა მჟავის ფრაქციაში და ძალზედ დაბალი მაჩვენებელი, 0,02%, გვხვდება ალდეჰიდის ფრაქციაში.

ამ ნიმუშში ყურადსაღებია ფორმალდეჰიდის რადიოაქტიურობის მეტად დაბალი სიდიდე რაც განპირობებული უნდა იყოს უკანასკნელის მაღალი ქიმიური აქტივობით.

^{214}C -გლიცინის შემთხვევაში ლექის ფრაქციაში რადიოაქტიურობის მაღალი მაჩვენებელი შეიძლება აიხსნას ცილის მოლეკულების "შეკრევით", რომელიც მოსალოდნელია განხორციელდეს ^{214}C -გლიცინის დაჟანგვის შედეგად მიღებული რადიოაქტიური ფორმალდეჰიდის წარმოქმნით და უკანასკნელის მიერ ცილის მოლეკულის პირველად ამინოჯგუფებთან მეთილოჯგუფების გაჩენით, რომლებიც შეიძლება დაუკავშირდეს ცილის მეორე ან იგივე მოლეკულის ამინოჯგუფს მეთილენური ან დიმეთილეთერიული განივი ბმის წარმოქმნით, რის შედეგადაც იზრდება ცილის მოლეკულური მასა ან იცვლება მისი ნატიური ბუნება და საბოლოო ფაზაში მიიღება უხსნადი პროდუქტი.

მადერის ტიპის ღვინომასალის ლექში რადიოაქტიურობის არსებობა შეიძლება პირდაპირ კავშირში იყოს ღვინომასალაში ფენოლური ნაერთების არსებობასთან და იმ ძლიერ ჟანკვით პროცესებთან, რომლებიც ამ ტიპის ღვინის ტექნოლოგიის თანმდევი მოვლენაა, რის გამოც მადერის ტიპის ღვინომასალაში ქინოიდური ბუნების სხვადასხვა მოლეკულური მასის მქონე ნივთიერებების არსებობა სრულიად რეალურია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დამწიფებისა და დამკვლევების პროცესში ღვინომასალაში და მითუმეტეს მადერის ტიპის ღვინომასალაში აუცილებლად იქნებან მონომერული ფენოლების დაჟანგვით მიღებული მონომერული ქინონები, ქინონების პოლიმერიზაციით მიღებული პოლიმერული ქინონები და პოლიმერული პოლიფენოლების ნაწილობრივი დაჟანგვის შედეგად მიღებული აქტიური ქინოიდური ჯგუფების შემცველი პოლიმერული პოლიფენოლები, რომელთაგან, მონომერული ქინონები იქნებან ხსნარში, ხოლო ქინოიდური ნაერთების ორი უკანასკნელი ფორმა-ლექში.


ქინონების ამინოჟგუფებთან ურთიერთმოქმედება მიმდინარეობს ქინონ-ამინური რეაქციის მიხედვით [5]. ამ გზით ხდება ამინოჟგუფის რადიოაქტიური ნახშირბადის ჩართვა ღვინომასალის ლექში.

სხვადასხვა ტიპის ღვინომასალაში ალდეჰიდებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით აცეტალდეჰიდი არის წარმოდგენილი და მისი რაოდენობა, გამომდინარე ტექნოლოგიის თავისებურებებიდან, განსაკუთრებით მაღალია მადერის ტიპის ღვინომასალაში.

აღნიშნული ალდეჰიდის მონაწილეობა ღვინომასალის ლექსწარმოქმნის პროცესში არ არის შესწავლილი, რის გასარკვევადაც ჩვენს მიერ დაყენებული იქნა მოდელური ცდები, რომლებშიც გამოვიყენეთ რადიოაქტიური $1,2^{14}\text{C}$ -აცეტალდეჰიდი, კუთრი რადიოაქტიურობით 1 704 550 ბეკერელი/გ, ადამიანის შრატის ალბუმინი და საფურვის ალკოჰოლდეჰიდოგენაზა. ცდებისათვის შერჩეული იქნა ცენტრიფუგის ორი პატარა სინჯარა, რომლებშიც მოთავსდა 1 სმ³ გამოხდილ წყალში გახსნილი 40-40 მგ ზემოთ აღნიშნული ცილის პრეპარატები. თითოეულ მათგანს დამატა 0,4 სმ³ $1,2^{14}\text{C}$ -აცეტალდეჰიდი და მჭიდროდ თავდაცობილ ჩაუტარდა ინკუბაცია სამი კვირის განმავლობაში თერმოსტატში 37,5°C ტემპერატურის პირობებში, რის შემდეგ ცილასთან დაუკავშირებული რადიოაქტიური აცეტალდეჰიდი ცილას მოშორდა გადალექვით და დიალიზით. ამგვარად მიღებული ცილის პრეპარატმა აჩვენა რადიოაქტიურობის მაღალი მაჩვენებელი, რამაც უცილობლად დაადასტურა აცეტალდეჰიდის

სართვა ზემოთნახსენები ცილების მოლეკულაში და მისი მონაწილეობის შესაძლებლობა ცილის გამოლექვაში.

ცილის მოლეკულის სულფჰიდრილურ ჯგუფებთან აცეტალდეჰიდის ურთიერთმოქმედების და ამ გზით ლექწარმოქმნის პროცესში მისი მონაწილეობის დასადგენათ დაყენებული იქნა მოლეკული ცლა, რომელშიც $1,75 \cdot 10^{-4}$ M კონცენტრაციის პარაქლორმერკურიბენზოატით (ჰქმ) გაიტიტრა 2,8 სმ³ გამოხდილ წყალში გახსნილი $5,26 \cdot 10^{-3}$ გ ადამიანის შრატის ალბუმინის ორი ნიმუში, რომელთაგან ერთს დამატებული ჰქონდა 0,01 სმ³ გამოხდილი წალი, ხოლო მეორეს 0,01 სმ³ კონცენტრირებული აცეტალდეჰიდი. ტიტრაციის შედეგები მოტანილია მრუდზე №1, საიდანაც შეიძლება დავასკნათ, რომ აცეტალდეჰიდი უკვშირდება ცილის სულფჰიდრილურ ჯგუფებს, ცილის მის ნატურ ბუნებას და ამ გზით ღებულობს მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის ღვინომასალების ცილოვანი ნივთიერებების გამოლექვაში.



მრუდი №1. ჰქმბ-ით ადამიანის შრატის ალბუმინის ტიტრაციის მრუდი:
1-ცილა; 2-ცილა და აცეტალდეჰიდი.

აღნიშნული დასკვნა მით უფრო სამართლიანია ფორმალდეჰიდის შემთხვევაში, რომელიც მეტი რეაქციისუნარიანობით გამოირჩევა და ცილოვან მოლეკულებთან ურთიერთმოქმედებაში სივრცითი დაბრკოლებებით უფრო ნაკლებად ხასიათდება, ვიდრე აცეტალდეჰიდი. ამდენად, ეს სავესებით რეალური გზა არის 2^{14}C -გლიცინის რადიოაქტიური ნახშირბადის ღვინომასალის ლექში ლოკალიზებისათვის.

ღვინომასალებში ცილის გამოლექვის ერთ-ერთი გზა შეიძლება დაკავშირებული იყოს მასთან ქინონური ნაერთების მიერთებით და მაღალმოლეკულური კომპლექსის წარმოქმნით, რომელიც ქინონების ამინომაჟავებთან ურთიერთმოქმედების პროდუქტების ანალოგიური უნდა იყოს [6].

ქინონების ურთიერთმოქმედებები ამინომაჟავებთან და ცილებთან უეჭველად ასრულებენ წინშენლოვან როლს ღვინის დაძველების პროცესში. ღვინოში არსებული მონომერული და პოლიმერული ქინონები წარმოადგენენ ჰომოგენურ და ჰეტეროგენულ კატალიზატორებს ღვინის ამინომაჟავების ჟანგვითი დეზამინირების პროცესში.

გარდა ამისა, უერთდებიან რა ღვინომასალაში არსებულ ამინომაჟავეებს, პეპტიდებს და ცილებს, იწვევენ ამ აზოტშემცველი ნაერთების გამოლექვას და რადგან ღვინოში მუდამ ფუნქციონირებს ჟანგვა-აღდგენითი სისტემა ფენოლი-ქინონი, ცილების და სხვა აზოტშემცველი ნაერთების კოაგულაცია მუდმივად მიმდინარეობს.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Кликовский З.Н., Мерджаниан А.А.* Технология вина, Москва: Лёгкая и пищевая промышленность, 1984, с. 273.
2. *Rayner A.C., Jephcott C.M.* Microdetermination of Formaldehyde in Air. *Anal. Chem.*, 1961, v. 33, № 4, p. 627-630.
3. *Brey G.A.* Solvents for Liquid Scintillation Counting. *Anal. Biochem.*, 1960, v. 1, p. 279-287.
4. *Риборо-Гайон Ж., Пейно Э., Риборо-Гайон П., Сюдро П.* Теория и практика виноделия, т.3, Москва: Пищевая промышленность, 1980, с. 408-428.
5. *Церетели Б.С., Стураа З.Ш., Чхარტიшвили Н.Н.* Взаимодействие конденсированного танина с аминокислотами. *Виноград и вино России*, 1998, № 2, с. 43.
6. *Чхარტიшвили Н.Н., Стураа З.Ш., Шатиришвили Ш.И., Церетели Б.С.* Исследование процесса танин-белкового взаимодействия в виноматериалах. *Виноград и вино России*, 1998, № 2, с. 20-21.

EXPLORATION OF PROCESS OF OXIDATIVE DEZAMINIZATION OF AMINO ACIDS AND PROTEIN-ALDEHYDE INTERACTIONS IN WINE

Murman Japaridze, Thina Skhirtladze, Tamaz Chuchulashvili, Benedikt Tsereteli
Georgian Agricultural State University

SUMMARY

For the first time a quantitative and qualitative data has been shown for the process of oxidative deamination of amino acids 1^{14}C -Glycine and 2^{14}C -Glycine, during Madeira preparation. The possibility of a deep oxidation of amino acids up to the final product, $^{14}\text{CO}_2$, also has been proved. Protein interaction with aldehydes was proved on the example of interaction between Yeast Alcohol Dehydrogenase, Human Serum Albumine and $1,2^{14}\text{C}$ -Acetaldehyde. Also it has been shown the possibility of binding of Acetaldehyde with the Sulphydryl groups of a protein.

ИЗУЧЕНИЕ ПРОЦЕССА ОКИСЛИТЕЛЬНОГО ДЕЗАМИНИРОВАНИЯ АМИНОКИСЛОТ И БЕЛКОВО-АЛЬДЕГИДНОГО ВЗАИМОДЕЙСТВИЯ В ВИНМАТЕРИАЛАХ

М.Ш.Джапаридзе, Т.А.Схиртладзе, Т.А.Чучулашвили, Б.С.Церетели
Грузинский государственный сельскохозяйственный университет

РЕЗЮМЕ

Впервые установлены качественные и количественные показатели процесса окислительного дезаминирования аминокислот при мадеризации виноматериала на примере радиоактивных 1^{14}C -глицина и 2^{14}C -глицина. Установлена возможность глубокого окисления аминокислот до конечного продукта, $^{14}\text{CO}_2$. На примере дрожжевой алкогольдегидрогеназы, сывороточного альбумина человека и $1,2^{14}\text{C}$ -ацетальдегида была подтверждена возможность взаимодействия белка с альдегидом и связывания ацетальдегида сульфгидрильными группами белка.



ИСПОЛЬЗОВАНИЕ БИО-ВОДОРОДА В НИЗКОТЕМПЕРАТУРНЫХ ТОПЛИВНЫХ ЭЛЕМЕНТАХ

М.Г.Бережияни, Т.В.Дудаური, Г.Ш.Парцхаладзе

Национальный Центр Высоких Технологий Грузии

Симбиоз двух прогрессивных энергоэффективных технологий – производства биогаза и применения топливных элементов, является привлекательным направлением, с которым связаны надежды на достижение рациональных результатов по обоим технологиям [1,2]. В частности, одним из факторов, препятствующих развитию водородной энергетики, остается высокая стоимость водорода, получаемого традиционными способами. Приоритетом объявленной президентом США в январе 2003 года “водородной топливной инициативы” (Hydrogen Fuel Initiative) [3] является снижение цен на водород. С другой стороны, хотя топливные гальванические элементы на окислительно-восстановительных реакциях представляют собой достаточно освоенную и надежную технологию, начиная с 60-х годов прошлого века они широко использовались в США в основном для выработки электричества в космических и подводных аппаратах, где связанные с данным фактором повышенные затраты не имели решающего значения. В 2003 году стоимость стационарных топливных элементов составляла от 2800 до 5500 \$/kW, а эксплуатационные расходы составляли 71-96 \$/kW в год [4].


Использование топливных элементов для генерации электроэнергии с применением биогаза окажется экономически оправданным и конкурентоспособным решением в результате широкого коммерческого распространения эффективных и доступных типов топливных элементов. Перспективным типом топливных элементов являются топливные элементы на основе протонообменных мембран (Proton Exchange Membranes – PEM), работающие на низких (до 80°C) температурах. Но платиновые катализаторы на электродах топливных элементов подобного типа легко отравляются различными примесями [5], в первую очередь окисью углерода (>10 ppm), неизбежно содержащимся в водороде, полученном методом реформинга ископаемого топлива [6]. Так как в био-водороде, полученном в процессах прямой ферментации биомассы, не наблюдается высокого содержания окиси углерода, использование био-водорода в низкотемпературных топливных элементах предопределяет технико-экономическую эффективность эксплуатации батарей топливных элементов.

Экспериментальные исследования использования био-водорода в топливном элементе проводились на стенде, схема которого представлена на рисунке 1.

Для проведения исследований использовалась исследовательская батарея (Fuel Cell Stack) из 10 топливных элементов. Экспериментально исследовалась нагрузочная (ток-напряжение) характеристика батарей при подаче в нее био-водорода. Полученные результаты сравнивались с характеристикой работы батарей на высокочистом (99,9999%) водороде. В качестве переменной нагрузки применялась комбинация ламп накаливания: L1-6Vx0.25A, L2-6Vx0.5A, L3-6Vx1A. Использование ламп накаливания в качестве нагрузки, с одной стороны – обеспечивало некоторую стабилизацию тока при изменении напряжения, а с другой стороны – позволяло проверять устойчивость работы батарей в условиях кратковременных перегрузок при перекоммутации элементов нагрузки (подключение холодных нитей накала).

Методика экспериментов учитывала начальный запуск батарей от чистого водорода, переход на био-водород исследуемого состава, после окончания измерений

возобновлялось питание от чистого водорода, а в конце работы система продувалась в течение нескольких минут чистым азотом. Для автоматизации эксперимента была использована компьютерная система сбора данных, позволяющая измерять, вводить в компьютер и хранить данные о напряжении, токе нагрузки и температуре батарей. Измерение электрических величин дублировалось также стрелочными приборами.



რის. 1. სხეა ექსერიმენტალური ანსთავი:

GH1, GH2, GH3 – გავეი მესხი, FC – ბაირა თოვილური ელემენტი, HL – გირძათორი, L1, L2, L3 – ნაგრძოჩნი ლამპი ნაკალივანი, R – იზერილური შუნტი, A – ამპერიმერი, V – ვოლტიმერი, TT – ტემპერატურური ტრანსმიტიერი, MUX – კომუტიერი სისაივი, ADC – ანალიგი-ციფრური პრეობრავილერი, Comp – კომპიუერი, DIOP – ციფრური პორტი ვივილი/ვივილი (ISA კარტი კომპიუერი)

Полученный от экспериментального биореактора в процессе анаэробной ферментации биогаз подвергался двухступенчатой очистке от двуокси углерода и сероводорода 4% раствором NaOH, очистке щелочным раствором пирогаллола для поглощения кислорода и пропускался через кассету с активированным углем. Используемый в качестве типичного состава очищенный био-водород содержал 88.5% H₂, 4.7% CH₄, 6.8% N₂.

Для экстремального тестирования топливных элементов был также использован разбавленный биогаз, собранный от экспериментального малогабаритного биореактора, предназначенного для исследования динамики получения биогаза в зависимости от предобработки исходного материала.

Так как методика исследований динамики получения биогаза включала продувку и наполнение азотом системы выделения и сбора биогаза, а так же не исключала попадания определенного количества воздуха в систему, полученные пробы биогаза были сильно разбавлены азотом и содержали до 5% кислорода. Полученная после очистки газовая смесь содержала 26.5% водорода, 2.5% метана, 0.5% кислорода и 71% азота.

На рисунке 2 отображены экспериментальные нагрузочные (ток-напряжение) характеристики топливного элемента для чистого водорода и образцов био-водорода.




Рис.2. Экспериментальные нагрузочные (ток-напряжение) характеристики топливного элемента для чистого водорода и образцов био-водорода

Показанная на рисунке 2 экспериментальная нагрузочная кривая для типичного био-водорода представлена двумя гистерезисными ветвями – нижняя кривая соответствует этапу возрастания, а верхняя – снижения нагрузки. Так как используемая батарея является саморазогревающимся и самоувлажняющимся изделием, к тому же кинетика энергоотдачи сильно зависит от свободной конвекции воздуха в топливном элементе, достижение и самоподдержание максимальной энергоотдачи для каждого режима осуществлялась с определенным запаздыванием. Кроме того, в случае питания батарей биогазом, в отличие от чистого водорода, была выявлена зависимость энергоотдачи от газового потока в топливный элемент и в процессе возрастания нагрузки поток био-водорода постепенно увеличивали до достижения максимального для данной нагрузки энергоотдачи. Верхняя нагрузочная кривая для био-водорода практически совпадает с характеристикой для чистого водорода. Что касается характеристики для разбавленного био-водорода, на графике видно, что энергоотдача упала почти в два раза.

В таблице 1 сведены исходные условия и результаты оценки эффективности энергоотдачи для средней нагрузки (1 А) батарей.

Принимая, что подаваемый в батарею водород расходуется только в результате электрохимического окисления с образованием стехиометрического количества заряда (тока), термодинамическая эффективность энергоотдачи (КПД) Eff_{TD} оценивается по отношению среднего напряжения на элементе к стандартному значению ЭДС системы водород-кислород 1,223 В. Величина теплового КПД (Eff_{Th}) относительно стандартного теплового эффекта (теплоты сгорания водорода) вычисляется с учетом различия между изменениями потенциала Гиббса ΔG_0 и энтальпии ΔH_0 в стандартных условиях [6].

Таблица 1. Сводная таблица исходных условий и экспериментальных результатов

Наименование параметра	Чистый водород	Типичный био-водород	Разбавленный био-водород
H ₂ , % (об.)	99.9999	88.5	26.5
CH ₄ , % (об.)	-	4.8	2.5
N ₂ , % (об.)	-	6.7	71
O ₂ , % (об.)	-	N.D. (<0.1)	0.5
H ₂ S, ppm	-	N.D. (<0.5 ppm)	N.D. (<0.5 ppm)
CO, ppm	-	N.D. (<2 ppm)	N.D. (<2 ppm)
t, °C	40-50	40-50	40-50
U o.c., V	9.2	9.2	9.1
I ref., A	1	1	1
U ref. V	6.47	6.45	3.7
Eff _{TD} , %	52.9	52.7	30.3
Eff _{th} , %	43.9	43.7	25.1

Результаты эксперимента подтвердили высокую эффективность использования био-водорода для генераций электроэнергии с применением низкотемпературного топливного элемента. Даже в случае использования обедненного водородом биогаза топливный элемент сохраняет работоспособность с обеспечением КПД, сравнимого с электрическим генератором на тепловом двигателе. Результаты экспериментов указывают на то, что при низкой (порядка 60°C) температуре содержащийся в био-водороде примесь метана в топливном элементе ведет себя как инертный газ и не участвует в химических и электрохимических реакциях. Установлено, что питание топливного элемента очищенным био-водородом не вызвал необратимых изменений характеристик топливных элементов. Следовательно, простыми методами очистки легко достигается отсутствие каталитических ядов в био-водороде.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Sung S. (Principal Author)*. Biohydrogen Production from Renewable Organic Wastes. DOE Award Number: DE-FC36-00G010530, Final Technical Report, March, 2005, 58 p. (http://www.eere.energy.gov/hydrogenandfuelcells/pdfs/iib1_sung.pdf)
2. *Aladashvili T., Berezhiani M., Dudauri T., Partskaladze G., Kkhaidze B.* Biomass for Fuel Cells: Promising Option for Clean Energy Production. Georgian Engineering News, 2004, No 1, p. 95-103.
3. *Milliken J.* The Presidents Hydrogen Fuel Initiative. US Department of Energy Workshop on manufacturing R&D for the Hydrogen Economy. Washington, DC, July 13, 2005, 18 p. (http://www.eere.energy.gov/hydrogenandfuelcells/pdfs/mfg_wkshp_plenary.pdf)
4. *Watanabe Sh.* Influence of Impurities in Hydrogen on Fuel Cell Performance. Japan Automobile Research Institute, US Department of Energy Hydrogen Codes and Standards Coordinating Committee Fuel Purity Specifications Workshop. April 26, 2004, 28 p. (http://www.eere.energy.gov/hydrogenandfuelcells/pdfs/fp_workshop_watanabe.pdf)
5. *Bocarsly A.B.* Composite Membrane for Fuel Cell. Meeting Briefs, Chemical & Engineering News, April 4, 2005, p. 64.



6. Aladashvili T., Berezhiani M., Ckhaidze B., Dudauri T., Orjonikidze M., Partskaladze G., Ugrehelidze V. Fuel Cell Power from Biogas. Georgian Engineering News, 2004, No 4. p. 57-61.

ბიო-წყალბადის გამომწვანება დაბალტემპერატურულ სათბობის ელემენტებში

მალხაზ ბერეჟიანი, თამარ დუდაური, გენადი ფარცხალაძე

რეზიუმე

მაკრობული ფერმენტაციის პროცესში მიღებული ბიო-წყალბადის დაბალტემპერატურულ პროტონგაცვლელ მემბრანებიან სათბობის ელემენტებში გამოყენების უპირატესობა დაბალი ღირებულების გარდა განპირობებულია ბიო-წყალბადში კატალიზური შხამის - ნახშირბადის მონოქსიდის არარსებობით. ექსპერიმენტალური შედეგები მიუთითებენ, რომ ბიო-წყალბადის შესაღწევლობაში მინარევი მეთანი არ მონაწილეობს ქიმიურ და ელექტროქიმიურ რეაქციებში და ტუტე აბსორბციის მარტივი მეთოდით გაწმენდილი ბიო-წყალბადის გამოყენება დაბალტემპერატურულ სათბობის ელემენტებში ეფექტურობით პრაქტიკულად არ ჩამოუვარდება სუფთა წყალბადის გამოყენებას და არ იწვევს სათბობის ელემენტების მასსიათებლების შეუქცევად ცვლილებებს.

USE OF BIOHYDROGEN IN LOW-TEMPERATURE FUEL CELLS

Malkhaz Berezhiani, Tamar Dudauri, Genadi Partskhaladze

SUMMARY

Biohydrogen obtained through anaerobic fermentation of organic substrates was tested for electricity production by using low temperature proton exchange membrane fuel cells. Besides low cost, biohydrogen has one more advantage for such use: it doesn't contain carbon monoxide that is the catalyst poison. Experimental results show that methane as a biohydrogen admixture is not involved in chemical and electrochemical reactions. So biohydrogen refined by using simple alkali absorption method can be used in low temperature fuel cells like pure hydrogen as theirs efficiencies are practically equal. Moreover, biohydrogen doesn't cause the irreversible changes in operational characteristics of the fuel cell.

მეტასტაბილური ცვეთამდეები და კავიტაციამდეები აუსტენიტში 50X12AГ8Ф და 75X12AГ8ФPC-მარკის ფოლადების ჭრის დაშუშავების შესაძლებლობებში

დავით ჭიბაშვილი, თენგიზ ფურცხვანიძე, გიორგი ჭიბაშვილი, ნოდარ ლუარსაბიშვილი

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანია, განისაზღვროს ცვეთამდეები და კავიტაციამდეები აუსტენიტური 50X12AГ8Ф და 75X12AГ8ФPC-მარკის ფოლადების ჭრით დაშუშავების შესაძლებლობები, მოხდეს შესაბამისი მჭრელი მასალების შერჩევა და დადგინდეს იქნას ჭრისათვის საჭირო ოპტიმალური რეჟიმები.

ცნობილია, რომ Fe-Mn-C და Fe-Mn-Cr-C სისტემის აუსტენიტური ცვეთამდეები და კავიტაციამდეები ფოლადების ჭრით დაშუშავების შესაძლებლობა საკმაოდ გაძნელებულია: განსაკუთრებით, ცნობილი გათფილდის 110Г13А-მარკის ფოლადის, რომელიც თავის უნიკალური თვისებებით "ეტალონად" მიიჩნევა Fe-Mn-C - კლასის ცვეთამდე ფოლადებში, დარტყმითი, (დინამიკური) დატვირთვებით შენადნში მიმდინარე პლასტიკური დეფორმაციის შედეგად ხდება მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტის - აუსტენიტური ფაზის დამლა და გაცილებით მაღალი სისალის განმტკიცებადი Σ - და α -ფაზების წარმოქმნა, რომელიც მიმდინარეობს შემდეგი სქემით: $\gamma \rightarrow \gamma' \rightarrow \Sigma \rightarrow \alpha$ [1] ამასთან, ეს ფოლადი იმდენად ბლანტია, რომ საჭრისით Pz ჭრის ძალის მოქმედების შედეგადაც ლითონში მისი შეხების წერტილებმა ადვილად წამოიქმნება დამოქლონებული მაღალი სისალის ფენები. განმკიცების განსაკუთრებით მაღალი ხარისხი მიიღწევა მაშინ, როდესაც ადგილი აქვს დასაშუშავებელი მასალის ზედაპირზე Pz-ჭრის ძალის, N-სიმძლავრის და მჭრელი ინსტრუმენტის მაღალი დაწოლით ზემოქმედებას, რის შედეგადაც წარმოშობილი მაღალი სისალის განმკიცებული ფენის შემცველი მასალის ჭრით დაშუშავება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება [2].

